№ 275 მთავრობის მოამბე

# საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

ფასი 1 მან. ხუთშაბათი 4 დეკემბერი 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
„საქართველოს რესპუბლიკა"
მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი, ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალი: № ყველგან 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით კერძო განცხადებანი პეტიტით 1 გვერდზე 3 მ., მეოთხეზე 2—50. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

## სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით. სეზონი—1920 წ.

ხუთშაბათს, დეკემბრის 4-ს

## ტოსკა და ბალეტი

პარასკევს გოფმანის ზღაპრები. შაბათს, ოპერა მუშებისთვის "ფაუსტი". კვირას, დეკემბრის 7-ს, „კატა, თხა, ცხვარი" და ბალეტი. საღამოს „პიკის ქალი". ორშაბათს მსახიობის დღე.

ქართული სამუსიკო საზოგადოების | ქართული | საქ. ცენტრ. კოოპერატ. კავშირის

## საოპერო სტუდია

ორშაბათს, 8 დეკემბერს მართავს ოპერას

## „თქმულება შოთა რუსთაველზე"

სახალხო თეატრში (ზუბ. სახლი) — მუსიკა დ. არაყიშვილისა

192 3—2

## ქ. ტფილისის მოსამსახურეთა და მომუშავეთა საყურადღებოდ.

სასურსათო განყოფილება ტფილისის ქალაქის გამგეობისა, თანახმად შრომის და მომარაგების სამინისტროს დავალებისა, შეუდგა სასურსათო წიგნაკების და პურის ბარათების დარიგებას მომუშავეთა და მოსამსახურეთათვის, რომლებითაც მიეცემათ სურსათი სახელმწიფო მომარაგების ფონდიდან.

დაწესებულებანი, ქარხნები და სამრეწველოები მოვალენი არიან სასწრაფოდ წარმოადგინონ სასურსათო განყოფილებაში (დამფუძნებელ კრების და შტაბის ქუჩის კუთხე) სია მოსამსახურეთა და მომუშავეთა და მათი ოჯახური შემადგენლობისა (ცალკე ჩამოთვლილ უნდა იყოს მათი სახელი და გვარი), მათი პასპორტები ან პიროვნების სხვა მოწმობები, ბინის წიგნები და აგრეთვე საალფავიტო ბარათები, შედგენილი ოჯახის თვითეულ წევრებზედ ცალკე.

**შენიშვნა:** ოჯახის წევრებად ითვლებიან: დედ-მამა შრომის უნარს მოკლებულნი, ძმები 17 წლამდე, საზრუნავი დები და შვილები.

საალფავიტო ბარათები მოთხოვნილებისთანავე ეძლევათ დაწესებულებებს და სამრეწველოებს სასურსათო განყოფილებიდან 15 დეკემბრამდე ა/წ.

წიგნაკები და ბარათები, დამზადებული სიების მიხედვით მიეცემათ, სამრეწველოების და დაწესებულებათა წარმომადგენლებს მომუშავეთა და მოსამსახურეთათვის დასარიგებლად.

შეძლებისდაგვარად მოწყობილი იქნება ბარათების და წიგნაკების დარიგება დიდ ქარხანა სამრეწველოებში ადგილობრივად.

სიები შემოწმებულ უნდა იქნას სამრეწველოების და დაწესებულებათა უფროსების მიერ და აგრეთვე პროფესიონალურ კავშირთა გამგეობის მიერ.

ყველა ყალბი ცნობების მომცემნი სურსათის ხვედრის ზედმეტად მიღებისათვის მკაცრად დაისჯებიან.

**მუშათა მომარაგების რწმუნებული.**

200 2—1

ჯულფა ბაქოს რკინის გზის გამყვანი გამგეობა ამით აცხადებს, რომ 1919 წ. დეკემბრის 15 ს დილის 10 საათზე გამგეობის ტეხნიკურ განყოფილების ბინაზე (ბაქო, ლალაევის პრ. ყოფილი სასტუმრო „გრანდ-ოტელი")

## დანიშნულია ვაჭრობა

ფართო ლიანდაგის შპალების დამზადებაზე და მიწოდებაზე. ვისაც კონკურენციაში მონაწილეობის მიღება სურს, ადრევე უნდა შეიტანოს გამგეობის კასაში საწინდრათ 50000 მან. კონდიციების გაცნობა შეიძლება ტეხნიკურ განყოფილებაში დღის 12—2 საათამდე. 3—3 286

## კახეთის რკინის გზის საზოგადოების გამგეობა

თანახმად წესდების § 39 იწვევს ბ. ბ. აქციონერებს მორიგ საზოგადო კრებაზე დასასწრებლად, შემდეგი საგნების განსახილველად: 1. გამგეობის მოხსენებისა საზოგადოების საქმეების შესახებ. 2. 1920 წ. საექსპლოატაციო ხარჯთ აღრიცხვისა, 3 სარევიზიო წევრების არჩევისა. საზოგადო კრების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 3—2 189

სახელმწიფო უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო კომისია ამით აცხადებს, რომ წიგნთსაცავისათვის

## საჭიროა მომუშავეები

რომელთაც უნდა იცოდნენ ქართულს გარდა ევროპის ენებიც და ამასთანავე უნდა ჰქონდეთ კარგი და გარკვეული ხელი. მსურველთ უნდა წარმოადგინონ თხოვნები დეკემბრის 10-მდე საბიბლიოთეკო კომისიის სახელობაზე, თხოვნა დაწერილი უნდა იყოს საკუთარის ხელით ქართულად და დართული უნდა ჰქონდეს წერის ნიმუშები სხვა ენებზე. პირობების გაგება შეიძლება უნივერსიტეტში წიგნთსაცავის კომისიის წევრებთან.

3—2 191 **სახელმწიფო უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო კომისია.**

**ოფიციალური განყოფილება.**

## ბრძანება

**რესპუბლიკის მთავრობისა სამხედრო უწყების მიმართ.**

19 ნოემბერი, 1919 წ. № 214.

§ 2.

დამტკიცებულ იქნას ქვევით მოყვანილი დებულება რესპუბლიკის რეგულიარულ ჯარში მოხალისეთ შესვლისა:

1. ახალგაზდები, რომელთაც აქვთ დასრულებული საშუალო სასწავლებელი და მოისურვებენ ჯარში შესვლას ვიდრე სამხედრო ბეგრის მოსახდელათ კანონით დადგენილ წლოვანებას მიაღწევდენ, თუ შემოწმების შემდეგ სამხედრო სამსახურისთვის ვარგისი აღმოჩნდებიან, მიიღებიან მოხალისეებათ.

2) ახალგაზდები, რომელთაც ჯარში მოხალისეებათ შესვლა სურთ, წლოვანობით უნდა იყვნენ დაბადებიდან არა ნაკლები 17 წლისა.

3) მოხალისეებათ არ მიიღებიან: ა) სასამართლოს განაჩენით სახელმწიფო სამსახურში შესვლის უფლება ახდილნი, ბ) სასამართლოს მიერ ქურდობასა და ბოროტ მოქმედებაში დამნაშავეთ ცნობილნი და გ) საქმის დასრულებამდე სისხლის სამართალში თუ გამოძიების ქვეშე მყოფნი.

4) მოხალისეები მიიღებიან სამსახურში ყოველ დროს ჯარის სხვა და სხვა დარგში მხოლოთ სამწყობრო თანამდებობაზე.

5) მოხალისეებს ეძლევა უფლება ჯარის დარგთა ამორჩევისა იმდენათ, რამდენათ ეს ჯარის ერთეულების შესავსებათ სამხედრო უწყების მიერ შესაძლებლათ იქნება ცნობილი.

6) მოხალისეები იმყოფებიან სამსახურში იმავე პირობებში, როგორშიც სამხედრო ბეგრით გაწვეულნი და ვალდებულნი არიან იმსახურონ საერთო სამსახურის ვადის გათავებამდის, როგორც ეს სამხედრო ბეგრის წესდებით გაწვეულთათვის დადგენილია.

7) ის პირნი, რომელთაც სურთ ჯარში მოხალისეებათ შესვლა, ვალდებულნი არიან ამის შესახებ წერილობით განუცხადონ იმ სამხედრო აღრიცხვის ნაწილთა უფროსთ, სადაც ისინი ან მიწერილია ან და გამწვევ უბნებში შედიან და თანაც თავი სამსახურისთვის ამორჩეული სამხედრო ერთეული უნდა დაასახელონ.

8) განცხადებასთან დართულ უნდა იყოს: ა) გამწვევ უბანზე მიწერის ან საადმინისტრაციო დაწესებულების მოწმობა გამწვევ უბანზე მიწერის შესახებ, ბ) წლოვანობის შემამოწმებელი საბუთი, გ) მესამე მუხლში ხსენებული უბიწივლო პიროვნობის მოწმობა ადმინისტრაციისაგან, დ) მშობლების, ოპეკუნების და მზრუნველების მცირეწლოვანის სამსახურში მოხალისეთ შესვლის თანხმობის ხელწერილი და ე) საშუალო სასწავლებლის დამთავრების მოწმობა (დიპლომი, ატესტატი).

9) საშუალო სასწავლებელ დამთავრებულ ახალგაზდებს, რომელთაც ახლად გაწვეულთა კონტინგენტის შევსების გამო გაწვევის ვადა გადაედოთ, თუ სამსახურში მოხალისეებათ სურთ შესვლა, უნდა განაცხადონ ასეთი თავისი სურვილი ან თვით გაწვევის დროს, ანდა არა უგვიანეს მომდევნო წლის 1 აპრილისა. ეს პირნი მოვალენი არიან წერილობითი განცხადებასთან ერთად ზემოხსენებულ მერვე მუხლის „გ" და „ე" პუნქტებში აღნიშნული მოწმობებიც წარმოადგინონ.

10) ნამდვილი სამსახურის ვადა მოხალისეთათვის ითვლება ჯარის ნაწილში სამსახურისათვის ჩარიცხვის დღიდან.

11) სამსახურისათვის ვარგისათ მიჩნეული მოხალისენი მთელი წლის გაწვეულთა რიცხვში შედიან, და მიმღებ ბარათში შეიტანებიან. მათზე შესდგება ნამსახურობის სიები, სადაც მათი სამსახურში მოხალისეებათ შესვლა აღინიშნება. სამსახურში მიღებულ ყველა მოხალისეებს სამხედრო აღრიცხვის ნაწილების უფროსები იყოლიებენ განსაკუთრებულ აღრიცხვაზე და ყოველ ამგვარ შემთხვევას აცნობებენ გენერალური შტაბის განყოფილებას.

12) სამსახურში შესული მოხალისეები გადაირიცხებიან სათადარიგოთ იმ საერთო წესით, რომელიც მიღებულია სამხედრო ბეგრის კანონით.

სამხედრო მინისტრი **ნ. რამიშვილი.**

## განკარგულებანი

**საქართველოს სენატისა.**

19 ნოემბერი, 1919 წ. № 5.

**განთავისუფლებულია:** თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან ტფილისის სასამართლო პალატის წევრი ნიკოლოზ დიმიტრის ძე ბაიკოვი 9 სექტემბრიდან 1919 წლისა თანახმად მისი თხოვნისა.

№ 6.

**ინიშნებიან:** ტფილისის სასამართლო პალატის მდივანი ვიქტორ მიხეილის ძე ლუნკევიჩი და ნაფიცი ვექილი ვლადიმერ ნიკიფორის ძე კანდელაკი ოლქის სასამართლოს წევრად პირველი ტფილისისა და მეორე სოხუმისა; ორივე 19 ნოემბრიდან 1919 წლისა.

საქართველოს სენატის თავმჯდომარე **დ. ხელთუფლიშვილი.**

—

**მთავრობის საქმეთა მმართველობისა.**

1 დეკემბერი, 1919 წ. № 25

მთავრობის საქმეთა მმართველობის ექსპედიტორი დავით მოსეს ძე თოიძე, მისი ჯარში გაწვევის გამო განთავისუფლებულ იქმნას თანამდებობიდან ამა წლის 22 ნოემბრიდან.

მთავრობის საქმეთა მმართველი **ქ. ჯაფარიძე.**

—

**იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორისა.**

29 ნოემბერი, 1919 წ. № 282.

**დაინიშნა:** ტფილისის ოლქის სასამართლოს მდივანი იოსებ დავითის ძე მაისურაძე იუსტიციის სამინისტროს მოლარედ ამა წლის დეკემბრის 1-დან.

30 ნოემბერი, 1919 წ. № 283.

რესპუბლიკის მთავრობის ამა წლის ნოემბრის 22 ს დადგენილების ძალით დაინიშნა: ქ. ტფილისის მე-10 უბნის სასამართლოს გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი დავით ვლადიმირის ძე აბაშიძე ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგად ამა წლის ნოემბრის 22-დან.

დეპარტამენტის დირექტორის თან. აღმ. **გ. ჟორდანია.**

**არა ოფიციალური განყოფილება**

## შინაგან საქ. სამინისტროში.

**ერობათა კავშირის შუამდგომლობა.**

საქართველოს ერობათა კავშირის მთავარმა კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა საიჯარო მამულების, სათევზაო ადგილების და ტყეების შემოსავლის 7% ერობებს მიეცეს. ერობათა კავშირი თავის შუამდგომლობას ამყარებს ამიერ-კავკასიის საერობო ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ სახელმწიფო სათათბიროს მიერ სამი ივნისის დადგენილებაზე, რომელიც აქამდე ძალაშია დატოვებული.

**სამალაზიო ფულების შესახებ**

ერობათა კავშირი შუამდგომლობს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა ერობათა სასურსათო თანხის შესაქმნელად მათ გადაეცეს ეგრეთ წოდებული „მალაზიების ფული" რომელიც ამ ჟამად დაახლოებით $1^1/_2$ მილიონ მანეთს შეადგენს. ეს „მალაზიების ფული" შეგროვილია ამნაირად: მთელ ამიერ-კავკასიაში სოფლად ყოველი ოჯახი 40 კაპ. იხდიდა სასურსათო თანხის შესაქმნელად.

**შუამდგომლობანი საფუთო გადასახადების შესახებ**

თანახმად 31 ივლისის კანონისა, ქალაქების თვითმართველობანი და ერობები შუამდგომლობით მიმართავენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სადგურებზე საფუთო გადასახადის შემოღების შესახებ. მაგრამ ამ შუამდგომლობის უმეტესი ნაწილი ფორმალურის მხრით ვერ აკმაყოფილებს ზემოხსენებულ კანონის ზოგიერთ მოთხოვნილებას რის გამოც ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილება ჯერჯერობით ვერ კმაყოფილდება. აქნობამდე დაკმაყოფილებულია მხოლოთ ოზურგეთის ერობის შუამდგომლობა, რომლის ფორმალური მხარეები სავსებით აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნილებას. ქ. ქ. გორის, ქუთაისის და ოზურგეთის შუამდგომლობანი სახელმწიფო კონტროლმა ზემოხსენებულ მიზეზის გამო უკან დაუბრუნა შინაგან საქმეთა სამინისტროს.

**ჯავახეთში გზების გასაყვანათ.**

ქ. ახალქალაქიდან გენ. ვაშაკიძე დეპეშით შუამდგომლობს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა იქ გაიგზავნოს ერთი ინჟენერი და საპიორები გზების გასაყვანათ,

რადგან მცხოვრებლები დიდ გასაჭირს განიცდიან უგზოობის გამო. მრავალი სოფელი სრულიად მოწყვეტილი ყოფილა ქ. ახალქალაქს საურმე გზების უქონლობის გამო. მცხოვრებლები აღუთქვამენ შავი მუშაობის შესრულებას.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გენ. ვაშაკიძის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და ახალქალაქში გზავნის ერთ ინჟინერს საპიორებით.

**ბანძის ერობის დადგენილება.**

ბანძის ერობას დაუდგენია გზების გასაკეთებლათ ფოსტის მოხელეებიც გაიყვანოს, ან წინააღმდეგ შემხვევაში მათ თითოს 1000 მან. გადაახდევინოს. ამის გამო ბანძის ფოსტის მოხელეებმა შუამდგომლობით მიმართეს შინაგან საქმეთა სამინისტროს, განუმარტოს ბანძის ერობას, რომ ფოსტის მოხელენი კანონით მოვალენი არ არიან გზების კეთებაში მონაწილეობა მიიღონ.

**სოფ. დემურ-ბულახში მიწების გადაყოფის შესახებ.**

სოფ. დემურ-ბულახის (ბორჩალოს მაზრა) მცხოვრებთა უმრავლესობას განაჩენი გამოუტანია სოფელში მიწების გადაყოფა მოახდინოს. მცხოვრებთა უმცირესი ნაწილი წინააღუდგა ამ განაჩენს. მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელმაც უკანონოთ სცნო ს. დემურ-ბულახში მიწების გადაყოფის მოხდენა, რადგან საქართველოს პარლამენტის კანონით, ის მიწის მფლობელნი, რომელნიც დიდი ხანია ფლობენ მამულს, მაგრამ უკანასკნელი კი ჯერ არ იყო საბუთებით მათზე დამტკიცებული, კერძო მესაკუთრეებათ ითვლებიან.

# მიწათ-მოქმ. სამინისტროში.

**შინამრეწველობის განვითარებისთვის.**

19 ნოემბერს მიწათ მოქმედების მინისტრის თავმჯდომარეობით შესდგა განსაკუთრებული თათბირი საქართველოში შინამრეწველობის განვითარების შესახებ.

თათბირში მონაწილეობა მიიღეს მოჰარაგების მინისტრის ამხანაგმა ჭავჭანიძემ, მეაბრეშუმეობის რწმუნებულმა ქუთათელაძემ, ფინანსთა მინისტრის ამხანაგმა ს. ავალიანმა, დამფუძნებელ კრების წევრმა ჟღენტმა და შინამრეწველობის ქარხნის გამგემ ინჟ. მოსკალევმა.

თათბირზე არჩეულ იქნა კომისია, რომლის წევრებად არჩეულ იქნენ: ქუთათელაძე, მოსკალევი, ჟღენტი და აბრახიმოვიჩი, რომელთაც დაევალა საქსოვ ქარხნის მუშაობის გაძლიერების, საქსოვ სახელოსნოებისთვის საჭირო იარაღების მიწოდების და შინამრეწველობის განყოფილებასთან არსებულ ქარხნის გაფართოების გეგმის შემუშავება.

ამავე კომისიას დაევალა საქსოვ მანქანების უცხოეთში შესყიდვის საქართველოში ჩამოტანის პირობები.

**სატყეო წესდება.**

მიწათ მოქმედების სამინისტრო ამთავრებს ახალი სატყეო წესდების შედგენას და მოკლე ხანში დამფუძნებელ კრებას გადასცემს.

**სკოლის გადაცემა.**

სამიწათ-მოქმედო მინისტრის განკარგულებით ტფილისის საბაღოსნო სკოლის შენობა და მიწა გადავიდა ტფილისის კულტურ-ტეხნიკურ სასწავლებლის გამგებლობაში.

# მთავრობის თავმჯდომარის წერილი ქალაქის მოურავს იძულებითი გადასახლების შესახებ.

დეკემბრის 2 ს მთავრობის თავმჯდომარემ შემდეგი წერილი გაუგზავნა ქალაქის მოურავს:

„შემჩნეულია, რომ ზოგიერთი სახლის პატრონი ყალბ ცნობებს იძლევა მდგმურის მდგომარეობის შესახებ იმ მიზნით, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის სავალდებულო დადგენილების ძალით ისინი გაძევებულ იქნან და მათ შეძლება მიეცეთ განთავისუფლებულ ბინების მომატებულ ფასებში გაქირავებისა. ამ ბოროტების წინააღმდეგ, საჭიროთ მიმაჩნია დაუყონებლივ გამოაცხადოთ, რომ ყველა ხსენებულ დადგენილების ძალით განთავისუფლებულ ბინებს სათვალავში აღებს და მცხოვრებთა შორის დაანაწილებს ქალაქის გამგეობის საბინაო განყოფილება და რომ არც ერთ სახლის პატრონს ნება არა აქვს აღნიშნულ დადგენილების ძალით განთავისუფლებულ ბინის გაქირავება, ისე როგორც არც ერთ მოქალაქეს არ შეუძლია მისი დაქირავება საბინაო განყოფილების ნება-დაურთველათ.

ამასვე საჭიროა დასძინოთ რომ აღნიშნულ წესის დამრღვევი მოქალაქე სასტიკ პასუხისგებაში იქნება მიცემული.

მთავრობის თავმჯდომარე

**ნოე ჟორდანია**

# დამფუძნებელი კრება

**2 დეკემბრის სხდომა.**

თავმჯდომარეობს **ხ. მდივანი.**

**ივ. გომართელის** მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტებისა:

1) სახელმწიფო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეთა ჯამაგირის გადიდების შესახებ.

2) გზათა უწყების მოსამსახურეთა, ხელოსნებისა და მუშებისათვის ჯამაგირის მომატების შესახებ.

3) რესპუბლიკის ლაშქრის მსახურთა ჯამაგირის გადიდების შესახებ.

**მონოპოლიის გამოცხადება მატყლზე და აბრეშუმის პარკზე.**

მომხსენებელი **ვიკ. თევზაია:** მთავრობამ მიზნათ დაისახა უმთავრეს სავალიუტო საქონელზე გამოცხადებული ყოფილიყო მონოპოლია. დამფუძნებელმა კრებამ უკვე მიიღო კანონი თამბაქოზე და შავქვაზე მონოპოლიის გამოცხადების შესახებ. იმავე მოსაზრებით მთავრობა მოითხოვს მონოპოლიის გამოცხადებას მატყლზე და აბრეშუმის პარკზე. უმთავრესი მიზანი ამ მონოპოლიისა ის არის, რომ ამ ნედლ მასალას დიდი მნიშვნელობა და ბაზარი აქვს ევროპაში და დღევანდელ პირობებში მხოლოთ ამით შეგვიძლია შემოვიტანოთ ის საქონელი, რომელიც ჩვენს ხალხს ესაჭიროება. თუ კერძო ვაჭრებმა გაიტანეს ეს სავალიუტო საქონელი, მაშინ ისინი შემოიტანენ ისეთ საქონელს, რომელიც ჩვენს ხალხს ნაკლებათ ესაჭიროება. თუ მთავრობას ხელში ექნა მონოპოლია, მაშინ ის იმ საგნებს შემოიტანს, რომელიც ჭეშმარიტათ ხალხს სჭირია.

მაგრამ მონოპოლიას მაშინ აქვს მხოლოთ აზრი, როცა მტკიცე ფასები იქნება დაწესებული. მტკიცე ფასების დაწესების დროს მთავრობამ არ უნდა იხელმძღვანელოს ფისკალური მიზნებით. როგორც სჩანს მთავრობის განმარტებიდან, მას არ უნდა იხელმძღვანელოს ფისკალური მიზნებით. ის მოითხოვს მტკიცე ფასების დასაწესებლათ შეიქმნეს ორგანო, რომელშიაც შევლენ: მთავრობის საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მწარმოებელთა წარმომადგენელნი. ამ ორგანომ უნდა დააწესოს ისეთი ფასები, რომელიც წარმოების წინსვლას არ შეუშლის ხელს. დამზადებულ საქონელს დეკრეტის ძალით მთავრობა ან თვითონ გაიტანს რაც უფრო სასურველია, ან და გაიტანს საზოგადოებრივ ორგანიზაციების და კერძო დაწესებულებების საშუალებით ნაწილობრივ ან სრულებით. ამ საქონლის დასამზადებლათ საჭიროა თანხა და მთავრობა მოითხოვს ამისათვის 130 მილ. მანეთს და მე კომისიის სახელით გთხოვთ ეს დაადასტუროთ.

**ილ. ნუცუბიძე** (ს. რ.). აღნიშნავს, რომ სოც.-რევოლიუციონერთა ფრაქციის მონოპოლიის შემოღება პრინციპიალურათ მისაღებათ მიაჩნია, მაგრამ ამ დეკრეტში არ არის საკსებით დაცული მონოპოლიის სისტემა, მაგ. მესამე მუხლში სწერია, რომ მთავრობას უფლება აქვს დამზადებული საქონლის გაზიდვა საზღვარ გარეთ მიანდოს კერძო დაწესებულებას. ამიტომ ჩვენი ფრაქცია მოითხოვს, რომ ეს დეკრეტი დაუბრუნდეს კომისიას გადასამუშავებლათ.

**ალ. ასათიანი** (ნ. დ.) სოციალისტები სიხარულით ეგებებიან ამ დეკრეტს, მე კი სასოწარკვეთილებითაო. მთავრობამ ზეპირად წარმოგვიდგინა დეკრეტი, რომელსაც არ ახლავს დასაბუთებული განმარტება. არ არის ნაჩვენები და გათვალისწინებული გეგმა და ის შედეგები, რომელიც ამ ნაბიჯს მოჰყვება. მონოპოლიის სისტემის შემოღებას ი. ნუცუბიძე და სხვები დიდ ნაბიჯათ სთვლიან ეკონომიურ ცხოვრებაში (ილ. ნუცუბიძე: სპეკულიანტებს მაინც ჩამოვშორდებით!) პირიქით სპეკულიანტებს უვარდებით ხელში. ჩვენ არ გვინდა, რომ თქვენ სპეკულიანტებს ჩაუვარდეთ ხელში.

შემდეგ ორატორი ილაშქრებს დეკრეტის ზოგიერთ მუხლის წინააღმდეგ და დაასკვნის, რომ ამ სახით წარმოდგენილი დეკრეტის მიღება ნაც. დ. ფრაქციას მიუღებლად მიაჩნია.

**ქ. კანდელაკი** (ვაჭრობა მრეწველობის და ფინანსთა მინისტრი) ამტკიცებს, რომ მთავრობას არაფერი აქვს წინააღმდეგი იმ პრინციპისა, რომელიც მთავრობას ავალებს დამზადებული საქონლის უშუალოდ თავისი საშუალებებით გატანას, მაგრამ დღევანდელი კონკრეტიული პირობები—ტონაჟის უქონლობა (გემები არა გვაქვს) ხშირად ხელს გვიშლის ამ ჩვენი და თქვენი სურვილის განხორციელებაში. მთავრობამ მიიღო ზომები ტონაჟის შესაძენათ, მან გადასდო სავალიუტო საქონლის ნაწილი ამ საქმისათვის და ვიმედოვნებთ, რომ ახლო მომავალში საკუთარი გემები გვეყოლება. მეორე—აქ ასათიანმა გვისაყვედურა, რომ გეგმა არ წარმოგვიდგინეს, განმარტება მოკლე იყოვო და სხვ. მე მგონია, რომ განმარტების სიდიდეში არ არის საქმე. დიდი აზრი შეიძლება მოკლეთ ითქვას. რაც შეეხება გეგმას, ჩვენი გეგმა ყველასათვის აშკარაა, თქვენს წინაშე რამდენჯერმე წამოგვიყენებია ეს გეგმა. რაც შეეხება ამ მონოპოლიის წესს, თუ როგორ იქნება ის გატარებული, ამაზე დეკრეტში ვრცლად არის ნათქვამი. იქ სწერია, რომ მთავრობა სასურველად სცნობს თითონ გაიტანოს დამზადებული საქონელი, მაგრამ თუ თითონ ვერ შეძლო, მაშინ კერძო დაწესებულებებს და პირებს დაიხმარებს.

ჩვენ წვრილი მესაკუთრებისათვის არ ჩამოგვირთმევია საქონელი, ჩვენ ვართმევთ მხოლოთ შემსყიდველებს, იმათაც ბაზრის ფასებში. შემდეგ მინისტრი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ შემყიდველები მთავრობას არ აძლევენ საქონელს და სხვებს, კერძო პირებს, უფრო დაკლებულ ფასებში აძლევენო. ჩვენ ამისი აუარებელი საბუთები გვაქვს, მაგლითისათვის მოვიყვან ერთს: ჩვენ ვაძლევდით ფუთ პარკში 1800 მან., შემსყიდველებმა ჩვენ არ მოგვცეს და კერძო პირს 1600 მანეთად მისცეს. ჩვენ რომ თავი დაგვეხწია ამეთი მდგომარეობისათვის კოოპერატივებს გადავეცით 10 მილიონი მანეთი სავალიუტო საქონლის შესასყიდლათ, ბაზრის ფასებში.

განზრახული გვაქვს გაისათ ნაწილი სამუშაო იარიღისა (მეთამბაქოებისათვის) და თესლი (მეაბრეშუმეთათვის) შევიძინოთ და მათ მივაწოდოთ. რაც შეეხება სასურსათო საქმისათვის წინეთ გადაღებულ თანხებს, უნდა მოგახსენოთ, რომ ყველა ეს ფულები საქონელშია დაბანდული და ოპერაცია ჯერ არ არის დასრულებული. ჩვენ მოვითხოვეთ მატყლისა და აბრეშუმის პარკის დასამზადებლათ 130 მილ. მანეთი. წინეთ გამოთხოვილი თანხა თამბაქოს დასამზადებლათ არ იყო იმ საქმისათვის საკმარისი, მაგრამ ჩვენ ახლაც და მაშინაც უწევდით ანგარიშს ხაზინის მდგომარეობას და ამიტომ ნაწილ ნაწილათ ვითხოვთ თანხებს. ეს 130 მილიონი მანეთი აუცილებლათ საჭიროა ამ საგანზე მონოპოლიის განსახორციელებლათ და ჩვენ ვსთხოვთ დამფუძნებელ კრებას რომ ეს დეკრეტი დაადასტუროს.

მომხსენებელი: ნაც. დემოკრატები პრინციპიალურათ ყოველთვის თანახმა არიან მონოპოლიის, მაგრამ კონკრეტიულათ კი ყოველთვის წინააღმდეგი: როდესაც კონკრეტიულათ თამბაქოს, მატყლის, ან სხვა რომელიმე საქონელზე ვაცხადებთ მონოპოლიას ისინი ამის წინააღმდეგ ილაშქრებენ. მათ მონოპოლია სოციალისტური ზომა გონიათ. მომხსენებელი ამტკიცებს, რომ მონოპოლია არ არის სოციალისტური ზომა, ის საერთო ზომაა, მას მიმართავენ ყველა სახელმწიფოები, განურჩევლათ წყობილების ფორმისა.

აქ ასათიანი ამბობდა, რომ ეს მონოპოლია კი არა რეკვიზიცია არისო. ეს მართალი არ არის. მონოპოლიის დროს საქონელში ფასებს აძლევენ ღირებულების მიხედვით. ის ორგანო, რომელმაც უნდა დააწესოს მტკიცე ფასები სრული და უზრუნველყოფს საქონელს რეკვიზიციისაგან. მომხსენებელი უპასუხებს აგრეთვე ი. ნუცუბიძეს და ასკვნის, რომ დღევანდელ კონკრეტიულ პირობებში მთავრობა იძულებულია კერძო დაწესებულებები და პირები მიიშველიოს ამ საქმეშიო. სურვილი სხვაა და შესაძლებლობა სხვა. აი სწორედ ეს დეკრეტი შედგენილია ისე, რომ მისი განხორციელება შეიძლება.

მუხლობრივი განხილვის შემდეგ დეკრეტი მიღებულ იქნა შემდეგი შესწორებით: მონოპოლია ვრცელდება აგრეთვე აბრეშუმის ყაჭზე და ძაფზე".

**დეკრეტი ტყის მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ.**

მომხსენებელი **კ. ნინიძე** აღნიშნავს, რომ აგრარულ კომისიის მიერ წარმოდგენილი დეკრეტი შეიცავს განმარტებას და შევსებას აგრარული კანონებისა, რომელიც გამოცემული იყო 16 დეკემბერს 1917 წ. (ამიერ კავკასიის კომისარიატის მიერ) და 7 მარტს 1918 წ. ამიერ კავკასიის სეიმის მიერ. ყველა ეს განმარტებები და შევსება კანონისა გამოწვეულია ცხოვრებიდან მიღებული პრაქტიკით ამ დეკრეტის ძალით იმ პირს, რომელსაც ტყის გარდა სხვა მიწა ან სულ არა აქვს, ან ნორმაზე ნაკლები, საკუთარ ტყიდან უნდა დაეტოვოს იმდენი, რომ სხვა მიწასთან ერთად ნორმამდე შეუსრულდეს. ტყე, სადაც არ უნდა მდებარეობდეს ის ჩაირიცხება პირველ კატეგორიაში. სოფლებში მდებარე ტყეები, ბუჩქნარ-ჯაგნარები ჩაირიცხება სათემო კუთვნილებათ საერთო სასარგებლოდ. ქალაქის საზღვრებში მდებარე ტყე ქალაქს არ ჩამოერთმევა, თუნდაც ნორმას აღემატებოდეს. სოფლის საზოგადოებებს და სოფლებს იმ საკუთარ ტყეებიდან, რომელნიც მათი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, სახელმწიფოთ არის გამოცხადებული, აღნიშნულ საზოგადოების, ან სოფლების მცხოვრებთ საჭიროხე ტყის მასალა განსაზღვრულ ნორმით უფასოთ მიეცემა.

**გრ. ვეშაპელი** (ნაციონალისტი) აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი დეკრეტი პირველი შესწორებაა აგრარული რეფორმისა, რომელიც ცხოვრებაში გატარდა, ცხოვრების შეუსწავლელად, ამიტომაც იყო, რომ რეფორმამ ხალხში დიდ უკმაყოფილებას მოუმზადა ნიადაგი ეს შესწორება დადებითი მოვლენაა და ჩვენ ვისურვებდით, რომ ყველა დანარჩენი შეუსაბამო მუხლების შესწორებაც მალე ყოფილიყოს შემოტანილი.

**ი. ნუცუბიძე** (ს.-რ.) აცხადებს, რომ სოც.-რევოლიუციონერთა ფრაქციის მისაღებად არ მიაჩნია წარმოდგენილი დეკრეტი, რადგანაც იქ ნაწილობრივად დაცულია მსხვილ-მემამულეთა ინტერესებიო.

**დ. ონიაშვილი** (ს.-დ.) ტყის საკითხი დიდ და სერიოზულ საკითხად მიაჩნია. ის მთელი რიგი საბუთებით ამტკიცებს ტყის დიდ მნიშვნელობას სახელმწიფოსათვის. ამავე დროს ამბობს ის, ხალხს უნდა ამ ტყით სარგებლობა, სახელმწიფოს კი ტყის დაცვა. საუკეთესო იქნებოდა ის ფორმულა, რომელიც შეედრებოდა ამ ორ ინტერესს. წარმოდგენილი დეკრეტით დაცულია, როგორც ხალხის ისე სახელმწიფოს ინტერესები და ის მიღებულ უნდა იქნას.

**თ. ღლონტი** (ს. ფ.). ამ დეკრეტით ტყეს მიიღებენ თავად აზნაურები და მსხვილი მემამულეები, გლეხებს ამით არაფერი არ შეეძინებათ. ჩვენ ყოველთვის მოვითხოვდით და ახლაც მოვითხოვთ, რომ მიწები შეადგენდეს საზოგადოების და სახელმწიფოს კუთვნილებას. ორატორი ანარქიის მიზეზით, სხვათა შორის, ასახელებს აგრარულ რეფორმას.

**რ. არსენიძე** თ. ღლონტის სიტყვის მთავარი აზრი იყო, რომ ჩვენ ამ დეკრეტით მიწას ვაძლევთ თავად-აზნაურებს, მემამულეებს. ეს სრული სიყალბეა, სიყალბე სადემაგოგიო მიზნით ჩადენილი. ასეთი სიყალბე პასუხისმგებელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ამ ტრიბუნიდან არ უნდა წარმოსთქვას. მე ვამტკიცებ, რომ ამ დეკრეტით არცერთ აზნაურს ან თავადს მიწა არ მიემატება, თუ რომელიმე თავადი, ან აზნაური გამოჩნდა ისეთი, რომელსაც უნდა მიემატოს მიწა, ის არავითარი ლატიფუნდიის პატრონი არ ყოფილ და ვერც იქნება.

შემდეგ ორატორი ამტკიცებს, რომ საჭიროა სოფლის მცხოვრებთ, რომლებიც თვითონ აშენებენ და უვლიან ტყეებს, მიეცეს მათ კუთვნილებათ. ეს არის დასავლეთ საქართველოში. (აღმოსავლეთ საქართველოში მიწები ჩამორთმეულია, ყველას ნორმა მიცემული აქვს და ჩვენ არც ერთხელ არ დაგვჭირებია და არც დაგვჭირდება ნორმის ტყით გათავება იქ არც გლეხებს გადაეცემა ტყეები. იქ მხოლოთ გლეხებს უნდა მიეცეს უფლება ისარგებლონ სახელმწიფო ტყიდან ხე ტყის მასალით ფიჩხით უფასოთ. ამას მოითხოვს ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესები.

გლეხს უყვარს კერძო საკუთრება, მისი ფსიქოლოგია ამაზეა დაყრდნობილი და უამისობათ არ შეიძლება ამ ფსიქოლოგიაში ტეხილი მოხდეს, ჩვენ საუკეთესოთ მიგვაჩნია შევეგუოთ ამ ფსიქოლოგიას. ამიტომაც იყო, რომ ჩვენ გლეხებს დაუთმეთ კერძო საკუთრებაში.

ორატორი ეხება იმას თუ რა შედეგი მოიტანა რუსეთში გლეხების ფსიქოლოგიისადმი ანგარიშის გაუწევლობამ და დასკვნის, რომ ეს დეკრეტი მეტს სარგებლობას მოუტანს ჩვენს რესპუბლიკას ჩვენს დემოკრატიას, ვინემ რამოდენიმე ათასი დესეტინა ტყე, და ის მიღებულ უნდა იქნასო (ტაში).

სიგვიანის გამო კამათი შემდეგი სხდომისათვის გადაიდო.

# ავაჭრო ურთიერთობა ბულგარეთთან

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ შემდეგი მისწერა ბულგარეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატას:

„პ-ნმა ს. ნ. საპუნჯიევმა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის კომიტეტს წერილობითი წინადადებით მიმართა, რათა დამყარდეს სავაჭრო ურთიერთობა ორ ძმურ ქვეყანათა—საქართველოსა და ბულგარეთის შორის.

საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის კომიტეტი სიამოვნებით ეგებება ს. ნ. საპუნჯიევის თაოსნობას და სარგებლობს შემთხვევით, რათა განამტკიცოს საქართველოს და ბულგარეთის შორის ორივე ქვეყნისათვის სასარგებლო სავაჭრო დამოკიდებულება, რისთვისაც სთხოვს ბულგარეთის პალატის კომიტეტს ზემო აღნიშნულ მიზნის მისაღწევათ მიიღოს ყოველგვარი ზომა.

გთხოვთ მიიღოთ ჩვენი ულრმესი და გულწრფელი პატივისცემა".

# ერობა.

## ოზურგეთის სამაზრო ერობის არა ჩვეულებრივი ყრილობა.

### რეზოლიუცია ანარქიული გამოსვლების გამო.

1. 23 ნოემბერს სხდომაზე თავმჯდომარემ გ. ჩხიკვიშვილმა მიაწოდა კრებას ყველა ფრაქციების წარმომადგენელთა მიერ შემუშავებული შემდეგი რეზოლიუცია ბ-ნი ჭანტურიშვილის მიერ წინა კრებაზე მოხსენებული ანარქიული გამოსვლების შესახებ: ოზურგეთის სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობა, გამოსთქვამს რა ღრმა მწუხარებას გურიაში მომხდარ შეიარაღებული გამოსვლის გამო უკანასკნელ დღეებში, საქვეყნოთ აცხადებს: „დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამშობლოს წინააღმდეგ მიმართულ მოღალატური და თავხედური მოქმედება არ გამომდინარეობს მის საერთო სოციალურ მდგომარეობისაგან და არაფერი აქვს საერთო ხალხის სულიერ განწყობილებასთან; ეს იყო ბოროტ-მოქმედთა შეთქმულება, მიმართული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წინააღმდეგ და მათ ასალაგმავათ და დასასჯელათ მიღებული ზომები გატარებული უნდა იქნას ბოლომდე.

2. გურიის მშრომელმა ხალხმა თავისი ენერგიული მოქმედებით და დარაზმული გამოსვლით მოღალატეთა წინააღმდეგ სასწრაფოთ ჩააქრო მათი მუხანათური განზრახვა.

3. ერობის გამგეობა თავისი მილიციით, გვარდია და ჯარი მათი უფროსებით და ხელმძღვანელებით სასურველ სიმაღლეზე იდგნენ ამბოხების მოსპობისა და ლიკვიდაციის საქმეში. სამაზრო ყრილობა გამოსთქვამს თავის ღრმა რწმენას, რომ მომავალში არავითარ ასეთ ბოროტ განზრახვებს არ ექნება ადგილი თავისუფლების მოყვარულ გურიაში".

### დახმარება ანარქიის ჩაქრობის დროს დაღუპულთა ოჯახებს.

ყრილობა აგრეთვე ადგენს გაეგზავნოს ანარქიულ გამოსვლების დროს ვერაგულათ დაღუპულ მებრძოლთა ოჯახებს შემდეგი შინაარსის სამძიმრის ბარათები: „სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობა გამოსთქვამს თავის ულრმეს მწუხარებას მომხდარი უბედურების გამო, რის მსხვერპლი გახდა თქვენი ოჯახის წევრი...

ყრილობამ დაავალა ერობის გამგეობას ამ მსხვერპლთა ოჯახებს ამ ჟამათ აღმოუჩინოს ერთდროული დახმარება თითოს ხუთი ათასი მანეთით და შუამდგომლობა აღძრას მთავრობის წინაშე, რათა ეს ოჯახები შემდეგში უზრუნველყოფილი იქნან მუდმივი დახმარებით".

### ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.

ხარჯთ-აღრიცხვის გარეშე გაწეული ხარჯების შესახებ მოახსენებს ყრილობის გამგ. წევრი ბ-ნი გ. ბერეჟიანი; ის დაწვრილებით აცნობს კრებას წინა ყრილობაზე დამტკიცებულ ხარჯთ-აღრიცხვით გაუთვალისწინებელ და შემდეგ გამგეობის მიერ თავისი პასუხის მგებლობით გაწეულ ხარჯებს, ცალ-ცალკე დანაწილებულს ხუხის სხვა და სხვა §§ და მუხლების მიხედვით, რომლის რაოდენობა უდრის 172,027 მან. 39 კაპ. ყრილობა ერთხმათ და უკამათოთ ამტკიცებს ამ თანხას და აგრეთვე ადგენს: „დაევალოს გამგეობას, რომ მან შეძენილი ავტომობილები აამუშაოს და გამოიყენოს შემოსავლის წყაროდ".

### საექიმო პუნქტები.

საექიმო პუნქტების შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგ. თავმჯდ. ბ-ნი ს. ჭანტურიშვილი. ის აცნობს ყრილობას არსებულ მდგომარეობას ამ დარგში და ამბობს, რომ დღემდე აქიმობა უფასო იყო, მაგრამ ექიმებსა და ფერშლებს არ ეკრძალებოდათ გონორარის აღება იმ პირთაგან, ვინც ამას თავის ნებით მოისურვებდა; ეს კი სასურველ შედეგს ვერ იძლევა, რადგან ოჯახი უმახინჯო არ არის და ზოგი პირი ბოროტათ სარგებლობს ამ უფლებით. ამიტომ, გამგეობის აზრით, ექიმობა სრულიად უფასო უნდა დარჩეს, ექიმებსა და ფერშლებს უნდა აეკრძალოს გონორარის აღება. გარდა ამისა გამგეობას სერიოზული დაბრკოლება შეხვდა პუნქტების გახსნის დროს ბინისა და გათბოპა-განათების მოგვარების საკითხში. გამგეობის აზრით, თემებმა უნდა მოგვცეს უფასო ბინა და გათბობა-განათება პუნქტებისათვის.

ყრილობა მცირე კამათისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ღებულობს გამგეობის მიერ წარმოდგენილ პროექტს და ადგენს 1) „ის თემი, რომლის ფარგლებში იმყოფება საექიმო პუნქტი, ვალდებულია უფასოდ მისცეს პუნქტისათვის ბინა—3 ოთახი: ექიმის საცხოვრებლათ 2 ოთახი და ექიმის თანაშემწისთვის 1 ოთახი. აგრეთვე უფასოთ მიაწოდოს პუნქტისათვის გათბობა და განათება. 2) ექიმობა სრულიად უფასოა. ექიმს, ბებია ქალს და ფერშალს ყოველგვარ პირობებში ეკრძალებათ ექიმობისათვის საფასურის აღება. 3) გამგეობას ევალება აგრეთვე შეძლების და გვარათ ყველა პუნქტზე გახსნას საერობო აფთიაქი, რისთვისაც უნდა გასწიოს საჭირო ხარჯები და 4) აფთიაქში მოსამსახურე პერსონალს გამგეობამ დაუნიშნოს ჯამაგირი თავისი განკარგულებით, რაც უნდა წარმოუდგინოს შემდეგ საერობო ყრილობას დასამტკიცებლათ.

### ჭაობების ამოშრობა.

თანახმათ გამგ. წევრის ბ-ნი კ. ქავთარაძის მოხსენებისა, რომელიც, აღნიშნავს რა გურიაში არსებულ მრავალი ჭაობიანი ადგილების გავლენას ციებ-ცხელებისა და სხვა ავათმყოფობის გავრცელება-გაძლიერებაზე, აცნობს კრებას ზოგიერთ თემთა შუამდგომლობას, რომ ასეთი ჭაობიანი ადგილები გადაეცეს მათ იმ პირობით, რომ ისინი იმათ ამოაშრობენ, ყრილობა ადგენს: 1, აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ ჭაობები, რომელიც ითვლებიან სახელმწიფო ფონდში გადასულათ, გადაეცეს თემის განკარგულებაში მხოლოდ იმ აუცილებელი პირობით, რომ ჭაობი ამოშრობილი იქნას თვით თემის მიერ სამაზრო ერობის და მთავრობის ხელმძღვანელობით. 2. დაევალოს გამგეობას შეისწავლოს და გაეცნოს დამუშავებულ გეგმას რიონის ნაპირების გამაგრების შესახებ და თუ დიდ ხარჯებს არ მოითხოვს და არც დრო ითმენს, კიდევაც მიიღოს სათანადო ზომები ამის განხორციელებლათ".

### კულტურული მეურნეობისათვის.

იმავე ბ. ქავთარაძის მოხსენებით ყრილობა ადგენს; „აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ ფონდში გადასული მამულებიდან კულტურულ მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწები გადვიდეს სამაზრო ერობის განკარგულებაში".

### დანიხვრის საკითხი.

კამათს იწვევს საკითხი ოზურგეთ-ნატანების გზაზე ტვირთის გადაზიდვის ნიხრისა და გადასახადის დაწესების შესახებ. გამგ. თავმჯდ. ბ-ნი ჭანტურიშვილი აკეთებს ამ საკითხის შესახებ მოხსენებას და ამბობს, რომ ნატანებ-ოზურგეთის გზა ერობის გზაა, ტვირთის გადაზიდვის ნიხრს-კი აწესებს ქალაქ ოზურგეთის გამგეობა და გადასახადსაც ადებს თავის სასარგებლოთ. მომხსენებლის აზრით ამიერიდან ერობამ უნდა დააწესოს ნიხრი ამ გზაზე და გადასახადიც მან უნდა აიღოს. განსაკუთრებული განცხადების გამო სიტყვა ეძლევა ოზურგეთის ქალაქის თავს ბ-ნ მურვანიძეს, რომელიც ასაბუთებს ქ. ოზურგეთის უფლებას ამ გადასახადზე და ამტკიცებს, რომ ერობას არა აქვს უფლება ამ გზაზე ნიხრისა და გადასახადის შესახებ სავალდებულო დადგენილების გამოცემისა. კამათში მონაწილეობას იღებენ სხვებიც, რის შემდეგ საკითხი დასამუშავებლათ და შემდეგ სხდომისთვის წარმოსადგენათ გადაეცა ისევ გამგეობას. საღამოს სხდომაზე ამ საკითხის შესახებ ყრილობა, თანახმად გამგეობის მოხსენებისა, უკამათოდ ადგენს: „დაწესდეს ნატანების გზაზე გადასაზიდ ტვირთზე გადასახადი ერობის სასარგებლოთ 30 კაპ. თვითეულ ფუთზე და მიენდოს ერობის გამგეობას შეიმუშაოს და წარმოუდგინოს მორიგ ყრილობას ტვირთის გადასაზიდი ნიხრი".

### სოფლების სახელების შეცვლა.

აბუთვანის და ებალაურის სახელწოდების შეცვლის შესახებ ყრილობა ადგენს: „დაევალოს იმ თემთა საბჭოებს, რომლებშიდაც ეს სოფლები შედიან შეუცვალონ ამ სოფლებს სახელწოდება უფრო შესაფერისათ და წარმოუდგინონ შემდეგ ყრილობას დასამტკიცებლათ" ყრილობა ადგენს აგრეთვე: თანახმად ნანეიშვილისეულის თემის საბჭოს შუამდგომლობისა დაერქვას ნანეიშვილისეულის თემს „კორხანის თემი", სოფ. პატარა ნანეიშვილის სეულს „კორხანია" და სოფ. პატარა ქვემოხეთს „ნაკადული".

### წვრილი ერთეულები.

წვრილ საერობო ერთეულების სახელწოდების შესახებ ყრილობა ღებულობს გამგეობის მიერ წარმოდგენილ შემდეგ დადგენილებას „1) ოზურგეთის მაზრაში შემოღებულ წვრილ საერობო ერთეულთათვის დროებით სახელმძღვანელო წესდებაში სახელწოდება „წვრილი საერობო ერთეული" ყველგან იქნას შეცვლილი სახელწოდება „თემით. 2) თანახმად პირველ მუხლში ნაჩვენებ ცვლილებისა წვრილი საერობო ერთეულების ხმოსანთა ყრილობას ანუ საერობო კრებას ამიერიდან ეწოდოს „თემის საბჭო", წვრილ საერობო ერთეულის გამგეობას კი ეწოდოს „თემის გამგეობა". 3) თემის გამგეობის არჩევნებისთანავე გაუქმებულათ ჩაითვალოს საზოგადოების კომისარიატი და მთელი მისი საქმეები და ქონება გადაეცეს თემის გამგეობას, და 4) თანახმად სახელმძღვანელო წესდების მე-28 მუხლისა, თემის გამგეობის ბეჭდათ იქნას დამტკიცებული საერთო ფორმის მრავალი ბეჭედი, რომელზედაც უნდა იყოს წარწერილი გამგეობის სახელწოდება".

### ტფილისის სამაზრო ერობაში

ორშაბათს, პირველ დეკემბერს, ტფილისის სამაზრო ერობის ბინაზე შესდგა ტფ. მაზრის აგრარულ კომისიის თავმჯდომარეების, მიწის მზომელთა და აგრ. კომ. მდივანთა ყრილობა. ყრილობა გაიხსნა საღამოს 7 საათზე, თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა დავით ონიაშვილი, მდივნათ დავითაშვილი. გასარჩევი საკითხები:

1) დაწვრილებითი მოხსენებები აგრარული კომისიის მუშაობის შესახებ; 2) მომავალ მუშაობის გეგმის გამომუშავება; 3) შესაძლებელია ზამთარაში მუშაობა თუ არა ან როგორ.

პირველად მოსმენილ იქნა ადგილებიდან მოხსენებანი საერთო მუშაობის შესახებ, რომლიდან გამოირკვა, რომ მიუხედავად ბევრ დამაბრკოლებელ პირობებისა აგრარულ კომისიის მუშაობა მეტად ნაყოფიერი და საქმიანი ყოფილა. ხალხი ყველგან დიდის აღფრთოვანებით ხვდება კომისიას და მოხარულია მიწების მემამულეებიდან ჩამორთმევისა.

შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რათა ზამთარშიაც გაგრძელოეს მუშაობა ისეთ მხარეებში, სადაც ეს შესაძლებელი იქნება.

# წ. კ. საზოგადოებაში.

## პრემიები.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას აქვს ორი საპრემიო თანხა: გრიგოლ დადიანის და ნიკოლოზ ბესარიონის ძის ლოლობერიძის. დადიანის სახელობის თანხის სარგებლიდან მიეცემა პრემიად 1920 წ. 1 იანვრის გასულს 1200 მხოლო ნ. ბ. ლოლობერიძის სახელობის თანხის სარგებლიდან 900 მანეთი.

1. პრემია ეიეცემა იმას, ვინც დასწერს და წარმოადგენს საკონკურსო საუკეთესო თხზულებას შესახებ ქართული ენისა, ისტორიისა, გეოგრაფიის, ეთნოგრაფიისა, ლიტერატურისა და საზოგადოთ თხზულებას საქართველოს შესახებ. ლოლობერიძის სახელობის პრემიის მისაღებად უპირატესობა ეძლევა ქართულ ენაზე დაწერილს თხზულებას. ხოლო საკონკურსოდ შეიძლება წარმოდგენილ იქმნას რუსულსა, ან რომელიმე ევროპიულ ენაზედაც.

2. თხზულებას ქართულის ენის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა/ ისტორიული გრამატიკა ქართულ ენისა—ეთიმოლოგია ან სინტაქსი, ბ) შედარებითი გამოკვლევა ქართული ენის შტოებისა, გ) გამოკვლევა ქართულის ენის უცხო ენებთან შედარებით, დ) ქართული ენის შტოების შედარებითი ლექსიკონი, ე) ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ვ) უცხო ენებთან მონათესავე ქართული სიტყვების ლექსიკონი, ზ) უცხო ენათაგან შემოსული სიტყვების ლექსიკონი.

3. თხზულებას ქართული ისტორიის შესახებ შეიძლებ საგნათ ჰქონდეს: ა) პოლიტიკური ისტორია საქართველოს მთელი წარსულის ცხოვრებისა ან რომლისამე ეპოქისა; ბ) სოციალ ეკონომიური ისტორია, სრული ანუ რომლისამე ეპოქისა; გ) საეკლესიო და საზოგადოდ სარწმუნოების ისტორია, როგორც სრული, ისე რომელსამე ეპოქისა; დ) სამხედრო ისტორია; ე) იურისპრუდენცია, ვ) მითოლოგია.

4. თხზულებას ქართულ მწერლობის შესახებ შეიძლება საგნათ ჰქონდეს: ა) ქართული მწერლობის სრული ან რომლისამე ეპოქის ისტორია, ბ) მწერლობის ერთ-ერთ დარგის სრული ან რომელისამე ეპოქის ისტორია, გ) რომლისამე ერთის ან რამდენსამე მწერლის ნაწარმოებთა სრული დ ყოველმხრივი შესწავლა და გამოკვლევა; დ) ქართული მწერლობის დამოკიდებულება უცხო მწერლობაზე და უკანასკნელის გავლენა პირველზე, როგორც მთლათ მთელის ქართულის მწერლობისა ისე რომელისამე კერძო ეპოქის ე) სახალხო სიტყვიერობის გამოკვლევა.

5. თხზულებას ქართული ეთნოგრაფიის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ეთნოგრაფიული აღწერა ქართველი ერის რომელიმე ნაწილისა; ბ) შეგროვება და შესწავლა ან და გამოყენება უკვე შეკროვილ მასალისა ქართული ენის სხვა და სხვა კილოკავებიდან ხალხურ სიტყვიერებიდან, ცრუმორწმუნეობიდან, ზნეჩვეულებიდან, ფიზიკურ აგებულებიდან და სხვა და სხვა დარგებიდან ქართველი ერის რომელიმე ნაწილისა—გამოსარკვევად: ან ქართველი ერის რომელიმე შტოს ნათესაობრივი დამოკიდებულებისა დანარჩენ მის ნაწილებთან, ან მთელი ქართველი ერის ნათესაობრივი ჩამომავლობისა სხვა ერთა შორის.

**შენიშვნა:** საკმარისია, თუ მკვლევარმა დაამუშავა მასალა მარტო ერთ-ერთ ზემოხსენებულ დარგიდგან და ეს მასალა გამოიკვლია ქართველ ერის მარტო ერთი რომელიმე ნაწილის შესახებ.

6. თხუზულებას ქართულ მუსიკის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) გამოკვლევა წარმართდროინდელი ქართული მუსიკისა; ბ) გამოკვლევა ქრისტიანობის მიღების შემდეგი ქართული მუსიკისა; გ) გამოკვლევა იმისა, თუ რა გავლენა იქონია სხვა ერთა მუსიკამ ქართულ ენაზე.

7. საკონკურსო თხუზულება უნდა იქნას წარმოდგენილი წერა კითხვის საზოგადოების კანცელარიაში პირველ იანვრამდი 1920 წლისა.

8. საკონკურსო თხუზულება შეიძლება იყვეს ხელთნაწერი და დაბეჭდილიც, მხოლოდ იმ პირობით, რომ დაბეჭდილი არ იყვეს 1916 წელზე ადრე გამოცემული.

### ნიკოლოზ რევაზის ძის ერისთავის სახელობის პრემიის გაცემა.

1. ნ. რ. ერისთავის სახელობის პრემია 1200 მან. მიეცემა საუკეთესო ორიგინალურ ნაწარმოებისათვის. არ არის აკრძალული პრემიის მიცემა მაღალ ღირსების ნათარგმნ მხატვრულ ნაწარმოებისთვისაც, ხოლო უპირატესობა მაინც ეძლევა ორგინალურ ნაწარმოებს.

2. პრემიის განაწილება შეიძლება სხვა და სხვა ნაწარმოებთა შორის, ხოლო არა უმეტეს ვიდრე სამ ნაწილად.

3. წ. კ. გამ. საზ. გამოაცხადებს სიას იმ ნაწარმოებთა, რომელნიც კონკურსის ღირსად ჩაითვლებიან. თუ ამ ნაწარმოებთა ავტორებმა ერთი თვის განმავლობაში წინააღმდეგობა არ განაცხადა, მიჩნეულ იქნება, რომ იგინი თანახმანი არიან მათი ნაწარმოებნი საკონკურსოდ წარდგენილ იქმნას. იმ ავტორმა, რომელსაც ხელთნაწერი აქვს და სურს საკონკურსოდ წარადგინოს, უნდა გაუგზავნოს თავისი ხელთნაწერი წ. კ. გამ. საზ. გამგეობას.

4. პირველი პრემია გაიცემა 1920 წ. იანვარში იმ თხზულებისათვის, რომელიც დაწერილია ან დასტამბული არა უადრეს 1918 წ. იანვრისა. შემდეგში კი პრემია მიეცემა იმ თხზულებისათვის, რომელიც დასტამბულია ან დაწერილია პრემიის ვადის წელიწადში, მაგ. 1920 წლ. პრემია მიეცემა იმ თხზულებას, რომელიც დაწერილია ან დასტამბულია არა უადრეს 1919 წლ. იანვრისა.

# ვეთილების ყრილობა.

ახლო მომავალში შესდგება ვეთალთა ყრილობა. ყრილობა განიხილავს შემდეგ საკითხებს:

1) საქონლის ჭირთან ბრძოლისათვის მთავრობის კომისიის მიერ ახლად შემუშავებულ პროექტის განხილვა და ჭირის საწინააღმდეგო სადგურის დაარსება.

2) ბრძოლა პირუტყვთა სხვა გადამდებ სენთან (ეპიზოოტიებთან) საზოგადოთ.

3) ვეტერინალურ ლაბორატორიის აღდგენა—მოწყობა მთელ რესპუბლიკაში.

4) საქონლისათვის სამკურნალო დახმარების მოწყობა ერობებში (ამბულატორიების დაარსება).

5) საქონლის მოვლა-მოშენება: ა) შესწავლა ადგილობრივ ჯიშების, ბ) მათი გაუმჯობესება. (დაარსება სამი პუნქტისა).

6) ვეტერინალურ პერსონალის მომზადება რესპუბლიკაში.

7) ვეტერინალური დაწესებულებანი: მთავრობის, ერობის, ქალაქის და სამხედრო უწყების და მათი ერთმანეთთან დამოკიდებულება.

8) ვეტერინარ. ექიმთა პუნქტების საქმე.

9) საწყობები, მერძეობა საქონლის ნედლი მასალის გასინჯვა.

10) უფლებრივი და მატერიალური მდგომარეობა ვეტერინალურ პერსონალისა, დაარსება ვეტ. პროფ. კავშირის ორ ორგანოსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პროექტი.

## ტფილისის დრამის წლიური ხარჯთ-აღრიცხვისა. *)

## გასავალი.

| თანამდებობის პირნი. | მათი რაოდენ. | თითოს თვიური ჯამ. | ერთი წლიური ჯამაგირი. | სულ წელ. |
|---|---|---|---|---|
| | | 1500 | 18000 | 18,000 |
| დირექტორი | 1 | 8000 | 96,000 | 96,000**) |
| | | 150 | 1,800 | 1,800 |
| თანაშემწე (ან პირ. მდივანი) | 1 | 3000 | 36,000 | 36,000 |
| | | 300 | 3,600 | 3,600 |
| სამნეო ნაწილის გამგე | 1 | 4000 | 48,000 | 48,000 |
| | | 200 | 2,400 | 2,400 |
| ხაზინადარი (ბუხჰალტერი) | 1 | 3000 | 36,000 | 36,000 |
| | | 50 | 600 | 1,200 |
| მოლარე (კასა) | 2 | 2000 | 24,000 | 48,000 |
| | | 200 | 2,400 | 2,400 |
| ინსპექტორი | 1 | 3000 | 36 000 | 36,000 |
| | | 25 | 300 | 300 |
| ექიმი | 1 | 1000 | 12,000 | 12,000 |
| | | 200 | 2,400 | 2400 |
| მხატვარი | 1 | 5000 | 60,000 | 60,000 |
| | | 30 | 360 | 2160 |
| დარაჯი მთელი წლით | 6 | 2000 | 24,000 | 144,000 |
| | | 25 | 210 | 2100 |
| სეზონით (1/2წ.) | 10 | 2000 | 12,000 | 120,000 |
| | | 30 | 360 | 360 |
| გამთბობი | 1 | 2000 | 24,000 | 24,000 |
| | | 100 | 1,200 | 1200 |
| კონტროლიორი | 1 | 3000 | 36,000 | 36,000 |
| | | 100 | 1,200 | 1200 |
| ბუტაფორიისა და რელიეფების მკეთებელი | 1 | 2500 | 30,000 | 30,000 |
| | | 200 | 2,400 | 2400 |
| პარიკმახერი | 1 | 3000 | 36,000 | 36,000 |
| | | 100 | 1,200 | 1200 |
| თანაშემწე | 1 | 2000 | 24,000 | 24,000 |
| გარდერობის გამგე (იგივე ტანის. და ფეხსაცმ სახელოსნოს | | | | |
| | | 150 | 1,800 | 1800 |
| უფროსი) | 1 | 2500 | 30,000 | 30,000 |
| | | 80 | 960 | 2880 |
| მკერავი | 3 | 2000 | 24,000 | 72,000 |
| | | 200 | 2,400 | 2400 |
| ელექტრო ტეხნიკი | 1 | 3000 | 36,000 | 36,000 |
| | | 100 | 1,200 | 3600 |
| ტეხნიკი | 3 | 2000 | 24,000 | 72,000 |
| | | 100 | 1,200 | 1200 |
| ბუტაფორიის გამგე | 1 | 2500 | 30,000 | 30,000 |
| | | 25 | 300 | 900 |
| ბუტაფორი | 3 | 2000 | 24 000 | 72,000 |
| | | 30 | 360 | 360 |
| მეშპალე | 1 | 2000 | 24,000 | 24,000 |
| | | 100 | 1,200 | 1200 |
| სცენის ინსპექტორი (რეჟისორთა გამგეობის წევრი) | 1 | 1000 | 12,000 | 12,000 |
| | | 150 | 1,800 | 1800 |
| კანტორის გამგე | 1 | 2500 | 30,000 | 30,000 |
| | | 40 | 480 | 480 |
| მემანქანე | 1 | 2000 | 24,000 | 24,000 |
| | | 30 | 360 | 360 |
| რეგისტრატორი | 1 | 2000 | 24,000 | 24,000 |
| | | 100 | 1,200 | 1200 |
| საკანცელარიო ხარჯები | | 500 | 6,000 | 6000 |
| | | | 10,000 | 10,000 |
| გათბობა და განათება | | | 200,000 | 200,000 |
| | | 100 | 1,200 | 1200 |
| მაღაზიის გამგე | 1 | 2500 | 30,000 | 30,000 |
| | | 30 | 360 | 360 |
| ნოქარი | 1 | 2000 | 24,000 | 24,000 |
| | | | 2,540 | 2540 |
| მოულოდნელი ხარჯები. | | — | 528,000 | 528,000 |
| | | | | 75,000 |
| სულ | | | | 2,000,000 |

### ტფ. დრამატიული დასი.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 400 | 4,800 | 14,400 |
| რეჟისორი | 3 | 5000 | 60,000 | 180,000 |
| | | 100 | 1,200 | 2400 |
| თანაშემწე | 2 | 2000 | 24,000 | 48,000 |
| | | 100 | 1,200 | 2400 |
| სუფლიორი | 2 | 2000 | 24,000 | 48,000 |
| | | 200 | 2,400 | 43,200 |
| ვაჟი მსახიობი | 18 | 3000 | 36,000 | 648,000 |
| | | 200 | 2,400 | 28,800 |
| ქალი „ | 12 | 2500 | 30,000 | 360,000 |
| | | 25 | 200 | 4000 |
| თანამშრომ. | 20 | 1000 | 8000***) | 160,000 |
| | | 50 | 600 | 600 |
| უფ. მუშა | 1 | 2500 | 30,000 | 30,000 |
| | | 30 | 360 | 2,160 |
| მუშები | 6 | 2000 | 24,000 | 144,000 |
| | | | 5,000 | 5000 |
| ხორო და ორკესტრი | | | 50,000 | 50,000 |
| | | 5000 | 15,000 | 15,000 |
| 3 პიესის მოწყობა | | 100,000 | 300,000 | 300,000 |
| | | | 7,040 | 7040 |
| მოულოდნელი ხარჯები | | | 32,000 | 32,000 |
| | | | | 125,000 |
| სულ. | — | — | — | 2,000,000 |
| | | | | 200,000 |
| წლიური გასავალი თეატრის შენახვით და წლიური დასის ყოლით. | — | — | — | 4,000,000 |

*) დებულება იხ. „საქართველოს რესპუბლიკის" №№ 270, 271.

**) დიდი ციფრებით აღნიშნულია ეხლანდელი ჯამაგირი. პატარით ომამდე არსებული.

***) რვა თვე.

# ტფილისის ოპერა.

## თეატრის შტატები და მისი შენახვა, იგივე, რაც დრამის თეატრისა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | 75,000 |
| ე. ი. საოპერო დასი (8 თვით) | | | | 2,000,000 |
| | | 400 | 3,200 | 6,400 |
| დირიჟორი | 2 | 5000 | 40,000 | 80,000 |
| | | 100 | 800 | 40,000 |
| ორკესტრი | 50 | 3000 | 24,000 | 1,200,000 |
| | | 300 | 2,400 | 2,400 |
| რეჟისორი | 1 | 3000 | 24,000 | 24,000 |
| | | 150 | 1,200 | 1,200 |
| რეჟ. თანაშემწე | 1 | 2500 | 20,000 | 20,000 |
| | | 150 | 1,200 | 1,200 |
| სუფლიორი | 1 | 2500 | 20,000 | 20,000 |
| | | 250 | 2,000 | 2,000 |
| ხორმეისტერი | 1 | 3000 | 24,000 | 24,000 |
| | | 100 | 800 | 40,000 |
| ხორო | 50 | 1500 | 12,000 | 600,000 |
| | | 400 | 3,200 | 3,200 |
| ბალეტმეისტერი | 1 | 4000 | 32,000 | 32,000 |
| | | 100 | 800 | 16,000 |
| ბალეტი | 20 | 2000 | 16,000 | 320,000 |
| | | 500 | 4,000 | 140,000 |
| მომღერალნი (სოლისტები) | 35 | 4000 | 32,000 | 1,120,000 |
| | | | | 30,000 |
| 3 ოპერის მოწყობა | — | — | — | 300,000 |
| | | | | 13,800 |
| მოულოდნელი ხარჯები | — | — | — | 260,000 |
| | | | | 400,000 |
| საოპერო დასი 8 თვით | — | — | — | 4,000,000 |
| | | | | 475,000 |
| თეატრის შენახვა და დასი (8 თვით) | — | — | — | 6,000,000 |

## განცხადებანი

დაკარგულია გეორქ გრიგორის ძე გრიგორიანცის მიერ ყარსის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორიდან აღებული საოჯახო მოწმობა № 1818 1918 წ. 25 მარტს. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს 292 3—2

დაკარგულია ართოვაზდა გიორგის ძე გრიგორიანცის მიერ ყარსის სიმაგრეს ინტენდანტის კანცელარიიდან აღებული მოწმობა № 3055 1918 წ. 29 მაისს. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 292 3—2

დავით ბახტაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა № 1482, აღებული 21 მკათათვეს 1919 წ. ტფილისის სამხედრო უფროსის კანცელარიიდან. 298 3—2

ნიკოლოზ პეტრეს ძე ლორთქიფანიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამტრედიის სადგურზე „შინელი" რომელშიდაც იყო საჭირო საბუთები, სხვათაშორის სტუდენტის კალენდარი 1915—16 წ. მოსკოვის აკადემიის და უნივერსიტეტის კანცელარიიდან აღებული მოწმობა. მპოვნელს სთხოვენ დოკუმენტები გაგზავნონ ფოთში მე-2 ე სანაპირო რაზმის ადიუტანტის ნიკ. ლორთქიფანიძის სახელზე. 288 3—2

დაკარგულია ტფილისის პირველი კერძო ლომბარდის კვიტანცია № 87043—70 მან. კვიტანცია გაუქმებულათ ჩაითვალოს. 287 3—2

დაკარგულია პორფირე მუზჟუხინის მიერ ტფილისის მილიციის სამმართველოდან აღებული პასპორტი № 3053. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 284 3—2

ქუთაისის სახალხო მილიციის სამმართველო თანახმად ერმილე ნიკოლოზის ძე ჯავახაძის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს პასპორტი და სალდათობიდან განთავისუფლების მოწმობა, მათ შორის პასპორტი მას ჰქონია მიღებული მაღლაკის საზოგადოების მამასახლისიდან ძველი მთავრობის დროს, სთხოვს მპოვნელს აღნიშნული საბუთებია წარმოადგინოს მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლად კუთვნილებისამებრ. 143 3—3

ბესარიონ სტეფანეს ძე მელიქაძე აცხადებს, რომ რუსეთიდან წამოსვლის დროს მან დაჰკარგა ხონის საოსტატო სემინარიიდან 3 ივნისის 1914 წ. მოწმობა № 652, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 169 3—3

გუგასიანცი სტეფანე ნავასარდოვის ძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი აღებული 1908 წ. ივლისის 4 № 8288. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 268 3—3

ბორჯომის სამომრიგებლო უბნის მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ნიკოლოზ ლაზარეს ძე ჩაჩანიძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ჩაჩანიძის ქონებაზე სამოქ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 144 3—2

დაკარგულია ამხენ ოგანეზიანცის სახელზე აღებულ პიდადობის მოწმობა. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 283 3—2

ნაზარეთ რუსიან აცხადებს, რომ მან დაკარგა სომხეთის უნტერ-ოფიცრების სასწავლებლიდან აღებული დათხოვნის მოწმობა № 3146 ისპანიის საკონსულოდან აღებული პასპორტი სურათი № 2038. მოწმობა და პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 269 3—3

იოსებ ლაზარეს ძე ჯლანტიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, აღებული ტფილისის მილიციის სამმართველოდან, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 263 3—3

ხარლამპი ირაკლის ძე სარიევი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამსახურის ფურცელი (ПОСЛУЖН. СПИСОК) მიღებული ტფილისის ფოსტა ტელეგრაფის ოლქიდან საბუთი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 253 3—3

გრიგოლ ორაფოვის ძე აზიბეკოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი ქალაქის გამგეობიდან აღებული და ხელოსანთა კავშირიდან აღებული მოწმობა № 125. პასპორტი და მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 285 3—1

ვლადიმერ დავითის ძე ჩელაური აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 293 3—1

არამაის არაქელის ძე აბროიანი აცხადებს რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 7847, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 296 3—1

ქ. ტფილისის მე-22 სამომრიგებლო უბნის მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ აკოფ სტეფანის ძე პოპოვის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება პოპოვის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე 1241 მუხლში აღნ. ვადაში. 281 3—1

დაკარგულია უვადო პასპორტი ტფილ. მოქალაქის მიხეილ იაგორის ძე ზოვაროვის სახელზე. პასპორტი გაუქმებულათ ითვლება. 279 3—1

დაკარგულია მოწმობები, მიღებული ტფ. ქალაქის სახელოსნო სასწავლებლიდან: ვასილ ტომილინის, გიორგი ონიკაშვილის, დავით ერაძის, ნიკოლოზ კოვალიოვის, ივანე კოვალიოვის, იუსტინ ჰორლოლაშვილის, მიხეილ ნასარიძის, დიმიტრი დავითაშვილის, ნიკოლოზ სიპინის, ამოტ ვაგრამოვის, ვლადიმერ სულთანიშვილის, ალექსან. საყვარელიძის, ივანე ზოტოვის, რომან ბოიარსკის, ვლადიმერ სომოილინის, გაიკ ზახარიანის, ერვანდ მალინიანცის, ისიდორე ივანიძის, თარხან მოურავის, გიორგი მარგიშვილის, სერგი პუგაევის, არ. ბაგანაშვილის, არჩუაძე ელიზბარის, ციხისელის, კარაპეტ შავერდიანის. მოწმობები გმუქმებულათ ითვლება. 277 3—1

სტამბა საქართველოს მთავრობისა

რედაქტორის მოვალ. დრ. ალმ. გრიგოლ მაჭავარიანი